



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 105

2016 წლის 27 ოქტომბერი

ხაშური

ფრაქცია „დამოუკიდებელი“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ფრაქცია - „დამოუკიდებელი“ რეგისტრაციის მიზნით, მომართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა: პავლე ლაცაბიძემ (ფრაქციის თავმჯდომარე, არჩეულია მაჟორიტარული წესით), ილია კაპანაძემ (ფრაქციის წევრი, არჩეულია მაჟორიტარული წესით) და გიზო ტალახაძემ (ფრაქციის წევრი, არჩეულია „ლეიბორისტული პარტიის“ სიით, ამჟამად უპარტიო), რომლებმაც წარმოადგინეს „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით“ გათვალისწინებული დოკუმენტაცია (განცხადება, ფრაქციის პოლიტიკური პლატფორმა და ფრაქციის წესდება), რაც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 30-ე მუხლის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების მოთხოვნათა შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ცნობად იქნეს მიღებული ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელი“-ს დაფუძნება 2016 წლის 20 ოქტომბრიდან, თავმჯდომარე - პავლე ლაცაბიძე.
2. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. № 15)

საკრებულოს თავმჯდომარე

